ოქმი

2017 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის ორი ახალი კანდიდატურის შერჩევის სამთავრობო კომისიის სხდომის შედეგების შესახებ

თბილისი 26 აგვისტო, 2017 წ.

სხდომა დაიწყო 26 აგვისტოს, 09:53 სთ-ზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის ორი ახალი კანდიდატურის შესარჩევი სამთავრობო კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი (მესამე კანდიდატთან გასაუბრების დროიდან. მანამდე მის ნაცვლად სხდომას ესწრებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი თეა მაისურაძე);
- საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე;
- საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელი, მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე მამუკა ვასაძე;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე წარმომადგენელი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე მზია თოდუა;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე წარმომადგენელი, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე მერაბ გაბინაშვილი;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე წარმომადგენელი, თავმჯდომარე დიმიტრი გვრიტიშვილი;
- საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წარმომადგენელი, თავმჯდომარე სოფიო კილაძე;
- საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი;
- „საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის“ („სიფა“) წარმომადგენელი, თავმჯდომარე ზვიად კორძაძე;
- სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ადამ მახარაძე.

კომისიის სამდივნოს წარმომადგენლები:

- სალომე ფრუიძე – იუსტიციის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
- მარიამ სხილაძე – იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 09:53 სთ-ზე და შეამოწმა დამსწრე წევრთა რაოდენობა. კომისიის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ კომისია, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 ივლისის N362 დადგენილებით დამტკიცებული „2017 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის ორი ახალი კანდიდატურის შერჩევის წესის“ 1-ლი მუხლისა და 2017 წლის 20 თებერვლის №93 დადგენილებით დამტკიცებული „2017 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის წესის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი - 11 პირი.

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო განაცხადების პირველადი გადარჩევის შედეგად გასაუბრებაზე დაბარებულ, უცხო ენის შესაბამისი სერტიფიკატის მქონე ან ტესტირებაში გამარჯვებულ (მინიმუმ B1 დონე) 7 კანდიდატთან გასაუბრების განრიგი:

1. ადეიშვილი ირაკლი - 10:00 სთ
2. ალანია თამარ - 10:40 სთ
3. ბაჩიაშვილი იოსებ - 11:20 სთ
4. ვარძელაშვილი კონსტანტინე - 12:00 სთ
5. კორკელია კონსტანტინე - 12:40 სთ

შესვენება 13:00 -14:00 სთ

6. ფაფიაშვილი ლალი - 14:00 სთ
7. სიჭინავა ოთარ - 14:40 სთ

კომისიის თავმჯდომარემ შეახსენა წევრებს, რომ, მე-8 კანდიდატმა – ნინო ბაქაქურმა, მოხსნა თავისი კანდიდატურა, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ის სამდივნომ 15 საათზე მოიწვია მისთვის ბათუმიდან ჩამოსვლისა და უკან დაბრუნების შესაძლებლობის მისაცემად.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომები, წინა კონკურსის მსგავსად, ღიაა მედიისთვის, გარკვეული პროცედურული დათქმებით, რათა კომისიას მუშაობაში ხელი არ შეეშალოს და კანდიდატების პოზიციები იქნეს გათვალისწინებული. კერძოდ, მთავრობის დადგენილებით, მედიას აქვს საშუალება, სხდომის დასაწყისში გადაიღოს ვიდეოკადრები. რაც შეეხება ჟურნალისტებს, თუკი წინასწარ რეგისტრირებული მედიის წარმომადგენელი მოისურვებს და კანდიდატი არ იქნება წინააღმდეგი, ასეთ წარმომადგენელს ექნება შესაძლებლობა, რომ დააკვირდეს გასაუბრების პროცესს.

თავმჯდომარემ კომისიის წევრებს შეახსენა ასევე, რომ კანდიდატების შეფასების მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ ფორმაში მითითებული ერთ-ერთი შეფასების – 5+ ქულის

(„ზედმეტად კვალიფიციური“), გამოუყენებლობის შესახებ კომისია შეთანხმდა წინა გასაუბრებების ფარგლებში, რამდენადაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების ზედმეტად კვალიფიციურად შეფასება არარელევანტურია.

თავმჯდომარემ კომისიის წევრებს სთხოვა, ყურადღება გაემახვილებინათ სამდივნოს მიერ მათთვის მიწოდებულ ორ განცხადებაზე, რომლებიც კანდიდატებმა: კონსტანტინე ვარძელაშვილმა და იოსებ ბაჩიაშვილმა წარუდგინეს კომისიას.

კონსტანტინე ვარძელაშვილის განცხადება ეხებოდა კომისიის მუშაობასთან დაკავშირებულ შენიშვნებს, ასევე შეიცავდა კომისიის თავმჯდომარისა და ორი წევრის - სოფიო კილაძისა და შალვა თადუმაძის აცილების მოთხოვნას იმ მოტივით, რომ მათ ჟურნალისტებთან არაერთხელ ჰქონდათ გაკეთებული საკონსტიტუციო სასამართლოსა და კანდიდატის მიმართ კრიტიკული კომენტარები. შალვა თადუმაძემ განაცხადა, რომ მას არასოდეს გაუკეთებია ვარძელაშვილის შესახებ არანაირი კომენტარი, ასევე სოფიო კილაძემ აღნიშნა, რომ კრიტიკა საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობასთან დაკავშირებით ზოგადი სახით მას ჰქონდა გამოთქმული, თუმცა უშუალოდ კონსტანტინე ვარძელაშვილთან დაკავშირებით მისი რაიმე სახის განცხადება არ ახსენდებოდა. იოსებ ბაჩიაშვილის წერილთან დაკავშირებით კი კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მასში რაიმე კონკრეტული მოთხოვნა არ ფიქსირდებოდა და კომისიის წევრები შეთანხმდენენ, რომ ორივე კანდიდატის განცხადებებს ისინი განიხილავდნენ თითოეულთან გასაუბრების დროს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომის დასაწყისის გადასაღებად დარბაზში შემოსული მედიის წარმომადგენლებისათვის გააკეთა განმარტება კონკურსთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ გასაუბრების მიზანია, შეარჩიოს ორი კანდიდატი ევროპის საბჭოსათვის წარსადგენად, რადგან მესამე კანდიდატი, ლადო ჭანტურია, რომელიც წინა გასაუბრებისას შეარჩია კომისიამ, როგორც მედიისთვის გასაჯაროებული ევროპის საბჭოს ექსპერტთა პანელის თავმჯდომარის 2017 წლის 21 ივლისის წერილიდანაც ჩანს, არის დადებითად შეფასებული ევროპის საბჭოს ექსპერტთა პანელის მიერ. ამჟამად შესარჩევი ორი კანდიდატიდან ორივე ან ერთ-ერთი მაინც უნდა იყოს ქალი, რათა უზრუნველყოფილი იყოს გენდერული ბალანსის დაცვა. ერთთვიანი კონკურსის შედეგად შემოსული განაცხადებიდან, რომლებიც კომისიამ ერთობლივად შეისწავლა, დღევანდელ გასაუბრებაზე დაბარებულია 8 კანდიდატი, რომელთა წარსული გამოცდილების, კვალიფიკაციის, ამჟამინდელი გამოცდილების შესახებ კომისიის სამდივნომ შეადგინა ცხრილი, რომელიც დაურიგდა კომისიის წევრებს. კომისიისათვის მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს ექსპერტთა პანელის მიერ ხაზგასმული ორი კრიტერიუმის მხედველობაში მიღება: თუ კანდიდატს სამოსამართლო გამოცდილება აქვს, ეს გამოცდილება უნდა იყოს ხანგრძლივი. ექსპერტთა პანელის 2017 წლის 21 ივლისის წერილიდან, რომელიც გასაჯაროვდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, ღიად ჩანს, რომ სამოსამართლო გამოცდილება გულისხმობს უმაღლეს ინსტანციაში გამოცდილების ქონას ან, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, საჭიროა დამატებით სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში მასშტაბური გამოცდილების ქონა, რათა კანდიდატი ჩაითვალოს შესაბამისად, „აღიარებული კომპეტენტურობის მქონე სამართალმცოდნედ“. წერილში ასევე ასაკზეა ყურადღება გამახვილებული, მართალია, პირდაპირ მითითებული არ არის, თუ რა ასაკის უნდა იყოს კანდიდატი, თუმცა ერთ-ერთ წარდგენილ კანდიდატზე, რომელიც წარდგენის დროისთვის 34 წლის იყო, ნათქვამია, რომ ის არის მათი გადასახედიდან მეტისმეტად ახალგაზრდა. ცხრილში მითითებულია ასევე, არის თუ არა კანდიდატი პოლიტიკური პარტიის წევრი, რადგან კომისიამ მიუკერძოებელი კანდიდატი უნდა შეარჩიოს. გასაუბრებაზე დაბარებული არც

ერთი კანდიდატი, მათი თქმით, არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე არც ერთს, გარდა ერთისა, არ უჩანს, რომ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის შემომწირველი, მხოლოდ ნინო ბაქაქურს აქვს თანხები შეწირული ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიისათვის, რისი უფლებაც მას ასევე აქვს, როგორც მოქალაქეს. ამასთან, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია, რადგან პოლიტიკური ნეიტრალიტეტი კანდიდატის შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმია.

თავმჯდომარემ დაამატა, რომ გასაუბრებაზე მოწვეულმა ყველა კანდიდატმა ჩააბარა ევროსაბჭოს ერთ-ერთი ოფიციალური ენის - ინგლისური ან ფრანგული ენის გამოცდა (სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში) და ყველა მათგანი აკმაყოფილებს იმ მინიმალურ დონეს, რაც მთავრობის დადგენილებით არის გათვალისწინებული. კანდიდატებიდან ყველა, გარდა ერთისა, ანგლოფონია.

კომისიის წევრმა უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია გარკვეული კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლეობის კანიდატი, თუმცა მისი პოლიტიკური აქტივობის, რომელიმე პარტიის წევრობისა თუ შემომწირველობის შესახებ ინფორმაციის მხედველობაში მიღებას დადგენილება არ ითვალისწინებს. ამდენად გაუგებარია, რას ემსახურება იმის რკვევა, არის თუ არა რომელიმე კანდიდატი პოლიტიკური პარტიის შემომწირველი.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ევროპის საბჭოს მოთხოვნას წარმოადგენს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური. ამას ადასტურებს ისიც, რომ ევროპის საბჭოს მიერ დამტკიცებული რეზიუმეს ფორმები შეიცავენ გრაფას სწორედ პოლიტიკური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისათითებლად. ამასთან, სამდივნოს მიერ მომზადებული ცხრილი ინფორმაციული ხასიათისაა და კომისიის ყველა წევრი თვითონ წყვეტს, რა ინფორმაციას მიიღებს მხედველობაში და რას - არა, რა კრიტერიუმით შეაფასებს კანდიდატს. იქვე თავმჯდომარემ დასძინა, რომ ომბუდსმენისგან უხერხულია თავად კითხვა, არის თუ არა აუცილებელი მოსამართლეობის კანდიდატი იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური.

კომისიის წევრმა სოფიო კილაძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაცია შემომწირველების შესახებ არ არის კონფიდენციალური, ვებგვერდზე დევს და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, გაეცნოს მას. ამასთან, მისი აზრით, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია და რომ არ ყოფილიყო მოთხოვნილი, გასაკვირი იქნებოდა.

პირველ კანდიდატთან გასაუბრების დაწყებამდე სამდივნოს წარმომადგენელმა აცნობა კომისიის წევრებს, რომ გასაუბრებებზე დასწრების სურვილი გამოთქვა და რეგისტრაცია გაიარა სამმა მედიასაშუალებამ: „რადიო თავისუფლებამ“, „ნეტგაზეთმა“ და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა. თუმცა „რადიო თავისუფლების“ წარმომადგენელი ჯერ-ჯერობით არ გამოცხადებულა.

კანდიდატ ირაკლი ადეიშვილთან გასაუბრება დაიწყო 10:13 სთ-ზე (დანართი აუდიოფაილი №1). გასაუბრებას, მისი თანხმობის გათვალისწინებით, ესწრებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი თეონა მანაგაძე. „ნეტგაზეთის“ წარმომადგენელი ქეთევან მაჭავარიანი პირველ კანდიდატთან გასაუბრებას არ დასწრებია.

შემდეგ კანდიდატთან, თამარ ალანიასთან, გასაუბრება დაიწყო 10:46 სთ-ზე (აუდიოფაილი №2). მასთან გასაუბრებას, მისი თანხმობთ, ესწრებოდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი თეონა მანაგაძე და „ნეტგაზეთის" წარმომადგენელი ქეთევან მაჭავარიანი.

პირველ ორ კანდიდატთან გასაუბრებას საგარეო საქმეთა სამინისტროდან დავით ზალკალიანის ნაცვლად ესწრებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი - საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარამენტის დირექტორი თეა მაისურაძე.

კომისიის წინაშე მომდევნო კანდიდატად წარდგა იოსებ ბაჩიაშვილი, რომელთან გასაუბრებაც დაიწყო 11:29 სთ-ზე (აუდიოფაილი №3).

განრიგის შესაბამისად, კომისიის წინაშე 12:08 სთ-ზე და 12:52 სთ-ზე რიგ-რიგობით წარდგნენ კონსტანტინე ვარძელაშვილი და კონსტანტინე კორკელია (აუდიოფაილები №№4-5), რომლებთან გასაუბრების პროცესსაც, მათივე თანხმობით, ესწრებოდნენ მედიის წარმომადგენლები.

კონსტანტინე ვარძელაშვილის შუამდგომლობას თეა წულუკიანის, სოფიო კილაძისა და შალვა თადუმაძის აცილების შესახებ კანდიდატის მხრიდან დასაბუთების მოთხოვნის გარეშე დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარე და მას კანდიდატთან გასაუბრებასა და მის შეფასებაში მონაწილეობა არ მიუღია. ხოლო კომისიის წევრებმა - შალვა თადუმაძემ და სოფიო კილაძემ კანდიდატის მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნიეს და არ დააკმაყოფილეს იმის გამო, რომ კანდიდატმა ვერ დაასაბუთა მისი მოთხოვნა და, როგორც თავად აღნიშნა, ვერ წარმოადგენდა კონკრეტულად მასთან მიმართებაში გაკეთებულ რაიმე საჯარო განცხადებას კომისიის ორთაგან რომელიმე წევრის მხრიდან.

კომისიის სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 13:42 სთ-ზე და დასრულდა 14:10 სთ-ზე.

შესვენების შემდეგ გასაუბრება გაგრძელდა კანდიდატ ლალი ფაფიაშვილთან - 14:12 სთ-ზე (აუდიოფაილი №6), ხოლო 14:51 სთ-ზე კომისიის წინაშე წარდგა კანდიდატი ოთარ სიჭინავა (აუდიოფაილი №7).

ლალი ფაფიაშვილმა თანხმობა განაცხადა მედიის წარმომადგენლების დასწრებაზე, თუმცა ისინი, მათივე სურვილით, გასაუბრებას არ დასწრებიან.

კომისიამ კანდიდატებთან გასაუბრებები დაასრულა 15:04 სთ-ზე.

გასაუბრებების დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ, რამდენადაც მთავრობის 2017 წლის 26 ივლისის N362 დადგენილებით კომისიას საშუალება აქვს, მთავრობას წარუდგინოს 2-დან 5 კანდიდატამდე, კანდიდატების მიერ მიღებული ქულების გათვალისწინებით, კომისია საშუალო ქულების გამოყვანის შემდეგ მიიღებდა გადაწყვეტილებას მთავრობისათვის წარსადგენი კანდიდატების ოდენობის შესახებ.

კომისიის წევრებმა სამდივნოს გადასცეს მათ მიერ ინდივიდუალურად შევსებული ფორმულარები მათში თითოეული კანდიდატისათვის მიკუთვნებული ქულის აღნიშვნით. სამდივნომ დააჯამა ინდივიდუალური ქულები კომისიის წევრების თანდასწრებით და გამოიყვანა თითოეული კანდიდატისათვის საშუალო ჯამური ქულები. აღნიშნული ქულების კლებადობის მიხედვით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 თებერვლის №93 დადგენილებით დამტკიცებული შერჩევის წესის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პრინციპის გათვალისწინებით და ევროსაბჭოს სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნით,

სამდივნომ კანდიდატთა სქესის მიხედვით შეადგინა და კომისიის წევრებს წარუდგინა კანდიდატთა 2 სია შემდეგი მონაცემებით:

1. ლალი ფაფიაშვილი - 4.82 ქულა;

2. თამარ ალანია - 4.45 ქულა.

და

1. იოსებ ბაჩიაშვილი - 3.73 ქულა;

2. ოთარ სიჭინავა - 3.73 ქულა;

3. კონსტანტინე კორკელია - 2.55 ქულა;

4. კონსტანტინე ვარძელაშვილი - 2 ქულა;

5. ირაკლი ადეიშვილი - 1.64 ქულა.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 ივლისის №362 დადგენლებით დამტკიცებული „2017 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის ორი ახალი კანდიდატურის შერჩევის წესის" მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინებით, კენჭი უყარა საკითხს საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენი კანდიდატების რაოდენობის შესახებ: კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საუკეთესო შედეგის მქონე პირველი ოთხი კანდიდატის წარდგენის შესახებ, რამდენადაც ორ მამაკაც კანდიდატს - იოსებ ბაჩიაშვილსა და ოთარ სიჭინავას, ჰქონდათ ტოლი საშუალო ქულა. გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა კომისიის 10-მა წევრმა. თავი შეიკავა კომისიის წევრმა უჩა ნანუაშვილმა, რომელმაც კომისიას შესთავაზა მთავრობისათვის საუკეთესო შედეგის მქონე პირველი ხუთი კანდიდატის წარდგენის შესახებ მსჯელობა. უჩა ნანუაშვილის პოზიციას, მიზანშეწონილობის მოსაზრებებიდან გამომდინარე, დაეთანხმა კომისიის წევრი ზვიად კორძაძე.

კომისიის თავმჯდომარემ ხელახლა დააყენა კენჭისყრაზე საკითხი მთავრობისათვის წარსადგენ სიაში მეხუთე კანდიდატის - კონსტანტინე კორკელიას, დამატების შესახებ. კენჭისყრაზე ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მისცეს ხმა კომისიის წევრებმა - დიმიტრი გვრიტიშვილმა, მერაბ გაბინაშვილმა, შალვა თადუმაძემ, სოფიო კილაძემ, მზია თოდუამ, მამუკა ვასაძემ და ადამ მახარაძემ, ხოლო თეა წულუკიანმა და დავით ზალკალიანმა თავი შეიკავეს.

კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობისათვის 4 კანდიდატიანი სიის წარდგენის შესახებ:

1. ლალი ფაფიაშვილი - 4.82 ქულა;

2. თამარ ალანია - 4.45 ქულა;

3. იოსებ ბაჩიაშვილი - 3.73 ქულა;

4. ოთარ სიჭინავა - 3.73 ქულა.

კომისიამ მუშაობა დაასრულა 15:45 სთ-ზე.

საშუალო ჯამური ქულების შესახებ ინფორმაცია პრესისათვის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად გამოქვეყნებულ იქნა კომისიის მუშაობის დასრულებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი

თეა წულუკიანი

კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი

სალომე ფრუიძე